

Brot
für die Welt

Brot für die Welt-
Evangelischer
Entwicklungsdienst

მენარმე ქალთა ფონდი
Fund of women Entrepreneurs



ჩვენ - ლიდერები

ვიქმნით წარმატებულ მომავალს



ქუთაისი
2012

№2



გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების
განვითარების სამსახური (გერმანია)



Brot
für die Welt

Brot für die Welt-
Evangelischer
Entwicklungsdienst

Publication is financially supported by
EED (Germany)



ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ის მოსაზრებებს

The views expressed in the journal does not
necessarily represent the views of EED



ს ა რ ჩ ე ბ ა C O N T E N T

ცნობის ფურცელი	2	19 NEWS PAGE
არჩევანი პროფესიული განათლება - რეალური დასაქმების შანსი	4	20 CHOICE Vocational Education - real chance of employment
აკლავა საქმიანობის ანალიზი სამომავლო მოქმედებებს განსაზღვრავს	5	21 RESEARCH Activities'Analysis Defines Future Actions
ჩვენ ვასწავლით თანამედროვე პირობებში ინტეგრირების საწინდარი	6	21 WE TEACH Basis for Integration in Modern Conditions
„სკოლა ქალებისათვის“ ფოთშიც ამუშავდა	6	22 “School for Women” Started to Work in Poti
დასაქმება პროფესია და მიღწეული შედეგები	7	23 EMPLOYMENT Profession and achieved results
საკუთარი საქმე მეფუტკრეებისა და მესათურის ახლენილი ოცნება	8	24 OWN BUSINESS Dream of Bee-keepers and Greenhouse owners came true
პარტნიორობი მრგვალი მაგიდა გენდერულ საკითხებზე	9	25 PARTNERS Roundtable on Gender Issues
მწარმე ქალთა ფონდის საქმიანობით უცხოელი ჯოღებები დაინტერესდნენ	10	25 Interest of International Colleagues towards the Fund of Women Entrepreneurs
ფონდის ჟურნალში სტუდენტები ითანამშრომლებენ	11	26 Students will work at the FWE’S Magazine
აქცია „16 აქტიური დღე - მიმართული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“	12	27 OUR RIGHTS Be Aware of Your Rights
„ომი და მშვიდობა“ გამოფენის ობიექტებში	15	27 EVENT “War and Peace” at the Focus of an Exhibition
ჩვენი უფლებები უფლებების ცოდნა საკუთარი კეთილდღეობისთვის	16	28 “16 Active Days against Gender Violence”
კვალიფიკაცია ტრენინგი ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე	17	31 QUALIFICATION Capacity Development Training
კიდევ ერთხელ სოციალური მწარმეობის შესახებ	17	31 Once Again on Social Entrepreneurship
იურიდიული გზამკვლევი	18	32 LEGAL GUIDE

21 სექტემბერი მენარმე ქალთა ფონდმა გამოფენა-კონფერენცია მოაწყო. ღონისძიება თემაზე „მდგრადი მშვიდობა – მდგრადი მომავალი“ მსოფლიო საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. თარიღი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს დაწესდა და ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიო საზოგადოების მიერ.

გამოფენაზე ორგანიზაციამ ომისა და მშვიდობის ამსახველი ფოტოკადრები და ცნობილი ადამიანების იგივე თემატიკის გამონათქვამები წარმოადგინა. საერთაშორისო ქსელის „Peace One Day“-ს წევრმა მენარმე ქალთა ფონდმა ამ ფორმით კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილ საზოგადოებას მშვიდობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

მენარმე ქალთა ფონდის

მიერ ქუთაისში ორგანიზებული „ადმინისტრაციული საქმიანობებისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმების“ შემსწავლელი კურსები პირველმა ნაკადმა დაასრულა. ხუთთვიანი სწავლება უმაღლესი განათლებისა და სხვადასხვა პროფესიის მქონე 12 ქალბატონმა გაიარა. კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადაეცათ და მათივე ინიციატივით შექმნილი ბუკლეტები დაურიგდათ. სასწავლო კურსის ფარგლებში ისინი იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას დაეუფლნენ, რასაც თანამედროვე შრომის ბაზარი მოითხოვს. ქალთა სკოლის 5 მსმენელი სწავლის პროცესისას დასაქმდა.

დეკემბრინდან EED-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ქალაქ ფოთში ამუშავდა. ფონდის ინიციატივით და ორგანიზებით მონაწილეობდა „ქალთა სკოლაში“ ამჟამად კვალიფიციური პედაგოგების დახმარებით ფოთში მცხოვრები 17 ქალბატონი ეცნობა საქმიანობებისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმებს.

ჩვიდმეტივე მსმენელს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, მათი უმრავლესობა ქ. ფოთის საკრებულოს თანამშრომელია.

მენარმე ქალთა ფონდის **საღმრთო** არაერთი ადამიანი დასაქმდა. ძირითადად სამუშაო ადგილები სოციალურ მენარმეობასა და მცირე ბიზნესში შეიქმნა.

ფონდმა პარტნიორ ორგანიზაცია სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია „ტოლერანტთან“ ერთად იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის დასახლების მე-9 უბანში მცხოვრებ მესხებს ტრენინგი ჩაუტარა. გამარჯვებული ბიზნეს-პროექტების ავტორებმა დაფინანსება მიიღეს, შედეგად „მეფუტკრეობისა“ და „სასათბურე“ საოჯახო-სოციალური მეურნეობები გამართეს.

2012 წლის 22-24 ოქტომბერი

მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომლებს ბორჯომში ტრენინგი ჩაუტარდათ. გასვლითი სწავლება ლიდერი ქალის თვისებების, მშვიდობის მშენებლობაში მისი როლის, აგრეთვე, ზოგადად პიროვნების ფსიქოლოგიისა და განვითარების მექანიზმების განხილვას დაეთმო. ფონდის თანამშრომლები ორგანიზაციის სტრუქტურული ჩამოყალიბების ეტაპებსა და მისი ქმედითუნარიანობის განმსაზღვრელ მიმართულებებს გაეცნენ. სამდღიანი ტრენინგი, რომელიც ფონდის ხელმძღვანელის ინიციატივით და ორგანიზებით მოეწყო, მიზნად მონაწილეთა ცოდნის, განწყობებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გადაფასება-გაცნობიერებას, ახლის დაუფლებას და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას ისახავდა.

2012 წლის 26 ოქტომბერი

საქართველოში მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისში შეიკრიბნენ პოლიტიკურ პროცესებში გენდერული თანასწორობის საკითხების განსახილველად. კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე მერი გელაშვილიც მონაწილეობდა, თემასთან დაკავშირებული სტრატეგიული დო-

კუმენტები განიხილეს. ინვალიდ-მეომართა და დაღუპულ მებრძოლ მეუღლეთა კავშირის (ქალთა კავშირი) თავმჯდომარე მანანა მეზუქემ შეკრებილებს ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტების პაკეტი გააცნო. მასში ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფის საჭიროებები და გამოწვევები აისახა. კონფერენციაზე „გენდერული თანასწორობის“ ქსელის დებულება მიიღეს და ქსელის მისია, მიზანი, სტრუქტურა, წევრთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრეს.

შეხვედრა დასრულდა ტრენინგით თემაზე „მედია-კამპანია“, რომელიც IFES ინიციატივით ჩატარდა.

რესურს ცენტრ „სალტო

აქას“ ინიციატივით 2012 წლის 7 ნოემბერს ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა გამართა. სასტუმრო კომპლექს „ბაგრატი 1003“-ში მონაწილეობის ღონისძიება მიზნად ევროკავშირის პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ (Youth in Action) პრეზენტაციასა და არასამთავრობო სექტორის უკეთ გაცნობას ისახავდა. შეხვედრაზე წარმოდგენილმა უცხოურმა და ქუთაისში მომუშავე 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის მენარმე ქალთა ფონდმა, თავიანთი საქმიანობის ამსახველი პრეზენტაციები წარმოადგინეს. ფონდმა სპეციალურ სტენდზე განათავსა ორგანიზაციის აქტივობების ამსახველი საინფორმაციო მასალა ბექდური პროდუქციის — ჟურნალების „ქალი და ბიზნესი“, „ჩვენ — ლიდერები“, ორგანიზაციის მიერ შედგენილი მეთოდური სახელმძღვანელოს „მცირე ბიზნესის საფუძვლები“ სახით. ღონისძიებაზე არასამთავრობო სექტორის სამუშაო გამოცდილების ურთიერთგაზიარება მოხდა.

2012 წლის 27 ნოემბერი

მენარმე ქალთა ფონდი სტრატეგიული კვლევისა და ფრიდრიხ ეიბერტის ფონდის მიერ წარმოდგენილი პროგრამის „აღმოსავლეთ პარტ-

ნიორობის და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტები საქართველოში” შედეგების პრეზენტაციას დაესწრო. თბილისში გამართულ შეხვედრაზე სამენარმეო პოლიტიკის — მცირე და საშუალო ბიზნესის საკითხებიც განიხილეს. დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ კვლევის შედეგებით, მცირე ბიზნესის ეფექტურობა დღესდღეობით დაბალ ნიშნულზეა და საქმიანობის პროცესში სამი ძირითადი პარამეტრის — პროდუქტის მთლიანი ბრუნვის, პროდუქტის გამოშვებისა და დასაქმების ურთიერთდაკავშირებას საჭიროებს. ღონისძიებაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს მომდევნო შეხვედრისათვის ეთხოვათ საქართველოში საშუალო ბიზნესისა და ინოვაციური განვითარების საკითხებზე რეკომენდაციების მიწოდება.

2012 წლის 27 ნოემბერს მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენელი დიანა ყურაშვილი მიკროსაკრედიტო ორგანიზაცია „კრისტალის“ გამგეობის თავმჯდომარე არჩილ ბაკურაძეს შეხვდა. მხარეებმა ის პროექტები განიხილეს, რომლებიც, სოციალური სანარმოს განვითარების მიზნით, მეფუტკრეთა ქსელური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ისახავს. დიალოგის დროს ყურადღება მოსახლეობაში „სოციალურ მენარმეობის“ საკითხებზე ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობაზე გამახვილდა. არჩილ ბაკურაძის თქმით, ასეთი მუშაობა ინფორმაციის გაცვლასა და მენარმეების ურთიერთდაკავშირებას შეუწყობს ხელს, ასევე მენარმე ქალთა ფონდისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ თანამშრომლობას.

მენარმე ქალთა ფონდსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი 2012 წლის 5 დეკემბერს მოეწერა. ფონდის

თავმჯდომარის მერი გელაშვილის და უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ღვთაძის მიერ დადებული ხელშეკრულების თანახმად, მენარმე ქალთა ფონდი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების სტაჟირებას უზრუნველყოფს ორგანიზაციის ბეჭდურ გამოცემა — ჟურნალში „ჩვენ – ლიდერები“. მენარმე ქალთა ფონდისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ეს აქტი, პარტნიორების განმარტებით, სტუდენტების მიერ პროფესიული გამოცდილების მიღებასა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის უკეთ გაცნობას შეუწყობს ხელს.

2012 წლის 10 დეკემბერს მენარმე ქალთა ფონდმა მრგვალი მაგიდა მოაწყო თემაზე „ძალადობა და ქალთა უფლებები“. შეხვედრაზე ფონდის მიერ საერთაშორისო კამპანიის „16 აქტიური დღე ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში განეული საქმიანობა შეჯამდა. ორგანიზაციის თანამშრომლებმა, ბენეფიციარებმა, ქუთაისის მერიის, სოციალური მომსახურების ცენტრის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“, ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“, აფხაზეთის მთავრობის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ძალადობის ფორმებზე, მის სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ ფაქტორებსა და პრევენციის გზებზე იმსჯელეს. მრგვალ მაგიდასთან გამართულ დებატებში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ძალადობა – ბოროტებაა, რომელიც ცოდნით და გასაჯაროებით უნდა დაიძლიოს.

საზოგადოების ინფორმირება და საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით მენარმე ქალთა ფონდი აქტიურად თანამშრომლობს მასმედიასთან. მიმდინარე წელს განხორციელებული აქტივობები არა მხოლოდ ორგანი-

ზაციის საინფორმაციო სამსახურის, არამედ ადგილობრივი რადიო და ტელეკომპანიის მიერ გაშუქდა. რადიო „რიონის“ ეთერით მსმენელს ფონდის მისიის, მიზნებისა და სამოქმედო მიმართულებების შესახებ მიენოდა ინფორმაცია. მენარმე ქალთა ფონდის მიერ განეული საქმიანობას, დასახულ გეგმებსა და მოსალოდნელ პერსპექტივებს დეკემბერში ტელეკომპანია „რიონის“ მაყურებელი გაეცნო. 2012 წელს ფონდის მიერ შესრულებული სამუშაო და მიღწეული შედეგები ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურმა ტელესიუჟეტშიც გააშუქა.

მენარმე ქალთა ფონდმა წლის შემავჯამებელი ფორუმი მოაწყო. შეხვედრა თემაზე: „2012 წლის შედეგები და 2013 წლის განმარმეები“ 27 დეკემბერს ჩატარდა. ფორუმის მუშაობაში პარტნიორი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის, აფხაზეთის მთავრობის, ქუთაისისა და ფოთის პროფესიული სასწავლებლების, საია-ს ქუთაისის ფილიალისა და მასმედიის წარმომადგენლები, „ქალთა სკოლის“ და პროფორიენტაციის ტრენინგის მსმენელები მონაწილეობდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ის მენარმეებიც, რომელთა ბიზნესები მენარმე ქალთა ფონდისა და ასოციაცია „ტოლერანტის“ მიერ დაფინანსდა. ფორუმზე ფონდმა ანგარიში წარადგინა პროფორიენტაციის, „ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და საქმიანი ეტიკეტის“ კურსების, სოციალური მენარმეობის ტრენინგების, პარტნიორ (სამთავრობო, საგანმანათლებლო, არასამთავრობო) ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა და საერთო პროექტების შესახებ.

2013 წლისათვის ორგანიზაციამ ახალგაზრდა გოგონებთან და საშუალო ასაკის ქალებთან საგანმანათლებლო მიმართულებით და სოციალური მენარმეობის კუთხით თანამშრომლობა დაიხატა.

პროფესიული განათლება - რეალური დასაქმების შანსი

გოგონებისთვის პროფესიული ორიენტაციის კურსების ორგანიზებით, მენარმე ქალთა ფონდმა 150 ახალგაზრდას გადაწყვეტინა მომავალი პროფესიის არჩევა. ფონდის ხელშეწყობით კურსებზე მოსმენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების შედეგად, პროფესიული განათლების მიღების მსურველები ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიასა“ და ფოთის პროფესიულ სასწავლებელ „ფაზისში“ ჩაირიცხნენ. ოთხთვიანი თეორიული სწავლების შემდეგ მოსწავლეებს პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ.

როგორც ჟურნალის წინა ნომერში ავლინებთ, მენარმე ქალთა ფონდის ბენეფიციარებით სასწავლებლებში 8 ჯგუფი დაკომპლექტდა: ოთხი – „ფაზისში“, ოთხი „იბერიაში“ გაიხსნა.

ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში“ სწავლების I და II ეტაპები 68 სტუდენტმა უკვე დაასრულა, ფოთის პროფესიულმა სასწავლებელმა „ფაზისმა“ კი 65 კურსდამთავრებული გამოუშვა. 15 გოგონამ სწავლების I საფეხური გაიარა. სწავლის პროცესში მოსწავლეებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღეს. 85 გოგონა პროფსასწავლებლის დასრულებისთანავე დასაქმდა.

მკერავის, სასტუმრო საქმის მწარმოებლის, მიმტანის, კონდიტერის, მენეჯერის, დიზაინერ-დეკორატორის, მოლარე-ოპერატორის, კონსულტანტის, სტილისტის, მანდატურის პოზიციაზე



ქუთაისში – 50, ფოთში კი 35 კურსდამთავრებული მუშაობს. „მამინ, როდესაც დასაქმება საზოგადოების უმთავრეს პრობლემად რჩება, ფონდის ბენეფიციარმა კურსდამთავრებულებმა, ორგანიზაციის დაკვალიანებითა და ხელშეწყობით, სასურველი საქმე

იპოვეს“, - სიამაყით გვამცნო მენარმე ქალთა ფონდის ასისტენტმა დიანა ყურაშვილმა.

სამკერვალო ფაბრიკებში: „ესტე“, „იმერი“ და „ტექსტილი“, რესტორნებში: „გრანდ პალასი“, „ქალაქური“, „გურულო“, კაფე-ბარებში: „სანიმუშო“, „ალიონი“, საკონდიტრო „ოაზისში“, ფოთის საზღვაო პორტში, საპატრულო პოლიციაში, მე-3 საჯარო სკოლაში, სამკერვალო სახლ „ნარნარში“, საქართველოსა და სახალხო ბანკებში, სავაჭრო კომპანია „მშენებელი-91-ში“, სავაჭრო ცენტრ „სავარძელში“, საცეკვაო სტუდია „ალიონში“, სილამაზის სალონ: „ჯულიანასა“ და „ნათიაში“ დასაქმებული კურსდამთავრებულების ყოველთვიური ანაზღაურება 150-400 ლარს შეადგენს. სტილისტები და მზარეულები თვეში საშუალოდ 500-650 ლარს იღებენ.



საქმიანობის ანალიზი სამომავლო მოქმედებებს განსაზღვრავს

მენარმე ქალთა ფონდი მუდმივად აწარმოებს მის მიერ განეული საქმიანობის კვლევა-ანალიზს, ატარებს სამიზნე ჯგუფების ანკეტირებას. შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო მოქმედებებს განსაზღვრავს.



ბის სურვილი ქუთაისში 35-მა, ფოთში კი 15 ბენეფიციარმა გამოთქვა. მათ მენარმე ქალთა ფონდის მიერ ჩატარებული კონსულტაციებიც გაიარეს და მომავალი პროფესიის არჩევანი გააზრებულად გააკეთეს. კვლევის მონაცემებით, მოსწავლეთა შორის პოპულარობით მზარეულის, მკერავის, გამყიდველ-კონსულტანტის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის მწარმოებლის სპეციალობები სარგებლობს. „შრომის ბაზარზე“ მოთხოვნადი პროფესიების ათვისება, გოგონებს დასაქმების მეტ შესაძლებლობებს მისცემს მომავალში, – აღნიშნა კოლეჯ „იბერიის“ კარიერისა და პროფორიენტაციის მენეჯერმა ფატი ჯიქიძემ.

პროფესიულ სასწავლებლებში ჩატარებული კვლევა სტუდენტების სწავლის, საინფორმაციო შეხვედრების, კონსულტაციების ხარისხის შეფასებას ისახავდა მიზნად.

„რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესით?“, „რამ განაპირობა სწავლების მე-3 ეტაპზე გაგრძელების გადაწყვეტილება?“ – ამ კითხვებზე პასუხები გამოკითხვაში ჩართულმა იმ 150 ბენეფიციარმა გასცა, რომლებიც ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისა“ და ფოთის პროფესიულ სასწავლებელ „ფაზისში“ სწავლობენ.

გამოკითხულთაგან პროფესიულ სასწავლებელში მე-3 საფე-

ხურზე (პროფესიის უმაღლესი საფეხურის დაუფლებას ითვალისწინებს) სწავლის გაგრძელებ-



თანამედროვე პირობებში ინტეგრირების საწინდარი

მენარმე ქალთა ფონდის მიერ ორგანიზებულ „ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმების“ შემსწავლელი კურსები პირველმა ნაკადმა დაასრულა.

ხუთთვიანი სწავლება ქუთაისში უმაღლესი განათლებისა და სხვადასხვა პროფესიის მქონე 12 ქალბატონმა გაიარა.

„ამ სკოლაში მოხვედრით უნიკალური შანსი მომეცა, – გვიამბობს სკოლის კურსდამთავრებული ფატი დვალიშვილი, – ქედს ვიხრი ყველა იმ ორგანიზატორის წინაშე, ვინც ჩემი ასაკის ქალბატონებისთვის იზრუნა და ეს სკოლა გახსნა. ამით იმის შანსი მოგვეცა, რომ შეგვძლებოდა თანამედროვე პირობებში ინტეგრირება, ახალი ტექნოლოგიებისათვის ფეხის აწყობა და ისეთი საგნების ათვისება, რომლებიც



ჩვენთვის ხელმიუწვდომელი იყო“.


სასწავლო პროცესის დროს ქალთა სკოლაში მსმენელები იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას დაეუფლნენ, რაც დამსაქმებლისაგან მოეთხოვებათ.

სკოლის კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულების ნიშნად სერთიფიკატები გადაეცათ და მათივე ინიციატივით დამზადებული ბუკლეტები დაურიგდათ.

ქალთა სკოლის რამდენიმე მსმენელი სწავლის პერიოდში დასაქმდა.

სხვადასხვა ასაკის ქალბატონებისთვის მსგავსი სახის სასწავლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება ხელს უწყობს მათ გადამზადებასა და დასაქმებას.

2013 წლიდან დაინტერესებულ ქალბატონებს კვლავ მიეცემათ შესაძლებლობა ფონდის მიერ ორგანიზებული სკოლის მსმენელები გახდნენ.



„სკოლა ქალებისათვის“ ფოთშიც ამუშავდა

პროექტი „სოციალურად დაუცველ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოში“, რომელიც EED-ის მიერ ფინანსდება, დეკემბრიდან ქალაქ ფოთში ამუშავდა.

პროექტის ფარგლებში ქალაქში მენარმე ქალთა ფონდის ინიციატივითა და ორგანიზებით ქალთა სკოლა გაიხსნა, სადაც ფოთში მცხოვრები 17 ქალბატონი „ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას და საქმიანი ეტიკეტის ნორმებს“ ეცნობა კვალიფიციური პედაგოგების დახმარებით.

ჩვიდმეტივე მსმენელს უმაღლესი განათლება

აქვს მიღებული, თუმცა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის, კომპიუტერისა და საქმიანი დოკუმენტების წარმოების შესწავლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სურთ. მათი უმრავლესობა ქ. ფოთის საკრებულოს თანამშრომელია.

დარეჯან ცქვიტარია (ფოთის საკრებულოს წევრი, სკოლის მსმენელი): მივესალმები მენარმე ქალთა ფონდის ინიციატივას, რაც შეიძლება მეტი ქალბატონის ცოდნა გააღმავონ. ნათქვამია „სწავლა სიკვდიმდე შენია“, სწორედ ამ მოტივაციით შეიკრიბნენ ეს ქალბატონებიც. აქ მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ

როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე.

მაკაჩხეცია (სკოლის მსმენელი): მოხარული ვარ, რომ ეს პროექტი განხორციელდა ფოთში. დიდი მოლოდინი გვაქვს იმისა, რომ აქ მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში გამოვიყენებთ.

სასწავლო კურსი ტრადიციულად ხუთ თვეს მოიცავს. მეცადინეობები, მსმენელთა შეთანხმების საფუძველზე, კვირაში ხუთ დღეზეა გათვლილი. პროგრამა როგორც სალექციო მეცადინეობებს, ასევე ტესტირებებსა და სასემინარო მუშაობას ითვალისწინებს.

ფოთში საშუალო ასაკის ქალებისათვის ფონდის მიერ სკოლის გახსნის ინიციატივას, მხარდაჭერა ფოთის საკრებულომ და პროფესიულმა სასწავლებელმა



„ფაზისმა“ გაუწიეს. სკოლის პედაგოგები ორგანიზაციამ „ფაზისის“ ხელმძღვანელის ნინო ბაკურაძის რეკომენდაციით აიყვანა.

დასაქმება

პროფესია და მიღწეული შედეგები

მენარმე ქალთა ფონდი მუდმივად ინტერესდება იმ ახალგაზრდების ბედით, რომლებმაც პროფორიენტაციის ტრენინგები გაიარეს ფონდში და ორგანიზაციის ხელშეწყობით ქუთაისისა და ფოთის პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხნენ. გოგონები სწავლასთან ერთად არჩეულ პროფესიებსაც ითვისებენ.

მკითხველს ყურნალის ნინა ნომერში სოფიკო ხვიჩიასა და ქეთი გაგუას სწავლაში მიღწეულ წარმატებებზე ვუამბეთ. ქუთაისის პროფესიულ სასწავლებელ „იბერიის“ კურსდამთავრებულებს უკვე საკუთარი საქმე აქვთ. გოგონები რესტორან „რჩეულში“ მიმტანებად მუშაობენ.

სოფიკო ხვიჩია: „თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება, თუმცა ყველაფერს ვასწრებ. სამსახურმა მასწავლა დროის მიზნობრივად გამოყენება. ადრე ბინის ქირის გადახდაც გვიჭირდა, დღეს მეუღლესთან ერთად მეც ვმუშაობ. ოჯახში შემოსავალიც გაიზარდა. ჩემი შვილების მომავლის იმედი მომეცა“.

მქონდეს. დეკემბერში სასწავლებელს ვამთავრებ და სამმა ჯგუფელმა ფართის დაქირავება და ბიზნესის წამოწყება გადავწყვიტეთ. სტილისტის პროფესია რომ შევისწავლე, მენარმე ქალთა ფონდისა და კოლეჯის დამსახურებაა“.

ქეთი გაგუა: „მარტოხელა დედა ვარ, თუმცა აღარ მეშინია, რომ შვილებს რამე მოაკლდებათ. უკვე ვმუშაობ და საკუთარი შემოსავალიც გამიჩნდა. დედა ხელს მიწყობს ბავშვების გაზრდაში. ბევრი შრომა მიხდება, სწრაფად მომსახურებასაც მივეჩვიე. თავდაპირველად სამი მაგიდის დიზაინური გაფორმება მე-ვალეობდა, ახლა ხუთ მაგიდას ვემსახურები“.



კოლეჯის კიდევ ერთი მოსწავლე ქუთაისში სილამაზის სალონ „ედელვაისში“ მუშაობს. **იამზე აბშილავაძე** პრაქტიკაც აქ გაიარა. საკუთარი სალონის გახსნაზე ოცნებობს, სახელწოდებაც კი შერჩეული აქვს - „მშვენიერება“: „ძალიან მინდა სტაბილური სამსახური

საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიასა“ და პროფესიულ სასწავლებელ „ფაზისში“ ახალგაზრდები კომპიუტერული გრაფიკოსის, მზარეულის, კონდიტერის სპეციალობებს, სარესტორნო და სამკერვალო საქმეს ეუფლებიან.

სტუდენტების ერთმა ნაწილმა სწავლა დეკემბერში დაასრულა. დღესდღეობით ქუთაისის სასწავლებლის კურსდამთავრებული ფონდის 15 ბენეფიციარი ქალაქში ირანელების მიერ გახსნილ სამკერვალო საწარმოში მუშაობს, მათი ყოველთვიური ხელფასი 250 ლარით განისაზღვრა.

ფოთის პროფესიულ სასწავლებელ „ფაზისის“ 35 სტუდენტიც დასაქმდა.

ფატი დვალისვილი ერთ-ერთია, ვინც მენარმე ქალთა ფონდის მიერ ორგანიზებული „ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმების შემსწავლელი 5-თვიანი კურსები გაიარა. ამჟამად ის მე-5 საჯარო სკოლაში მუშაობს. რუსული ენის წრე ჩამოაყალიბა და მოსწავლეებს რუსულ ენასა და ლიტერატურას აზიარებს. 19 წელი მე-17 საჯარო სკოლაში იმუშავა, ერთი პერიოდი საერო დამოუკიდებელ სკოლა „დვირეში“ ასწავლიდა. სტომატოლოგის ასისტენტის პროფესიაც კი „მოირგო“ უმუშევარი რომ დარჩა: „საერთო პროფილის მედლა ვარ, საუნივერსიტეტო განათლება მივიღე რუსული ენის სპეციალობით და სასწავლო პროგრამით ეს პროფესიაც შეგვასწავლეს“, - გვითხრა ფატიმ მისთვის



ჩვეული ექსპრესიული მანერით. მენარმე ქალთა ფონდს უმაღლის დამატებითი ცოდნის მიღების შესაძლებლობა რომ მიეცა: „ყოველთვის მქონდა სურვილი ინგლისური ენა და კომპიუტერული უნარები მცოდნოდა, თუმცა ჩემი მატერიალური შესაძლებლობებით ვერ მოვახერხე“. ამბობს, რომ ახლა „წელგამართული დადის“, რადგან აღარ ეშინია დამსაქმებლის „მრისხანე“ კითხვის – იცის თუ არა კომპიუტერი და უცხო ენა. „ქალთა სკოლაში“ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების მქონეს, აღარ აკმაყოფილებს ამჟამინდელი საქმიანობა. საკუთარი ენერგეტიკისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების შესაფერისი სამსახურის ძიებაში თვლის, რომ მენარმე ქალთა ფონდის ხელშეწყობით იპოვა საკუთარი ადგილი „ახალ ყოფაში“.

ს ა ე უ თ ა რ ი ს ა ქ მ ე

მეფუტკრეებისა და მესათბურის ახდენილი ოცნება

ეკონომიკური სიდუხჭირის თემა საქართველოში ვინმეს ნაკლებად გააკვირვებს. სიღარიბე ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. დაუსაქმებლობის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარი თავის რჩენა უჭირს, უმუშევართა რაოდენობა კი სულ უფრო მატულობს.

მენარმე ქალთა ფონდმა პროექტის „სოციალურად დაუცველ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში არაერთი ადამიანის დასაქმებას შეუწყო ხელი. ძირითადად სოციალურ მენარმეობასა და მცირე ბიზნესში სამუშაო ადგილების შექმნით.



ფონდმა პარტნიორ ორგანიზაცია სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია „ტოლერანტთან“ ერთად იმერეთში, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის დასახლების მე-9 უბანში მცხოვრებ მესხებს ტრენინგი ჩაუტარა. გამარჯვებული ბიზნეს-პროექტების ავტორებმა დაფინანსება მიიღეს, შედეგად „მეფუტკრეობისა“ და „სასათბურე“ საოჯახო-სოციალური მეურნეობები შეიქმნა.

ფუტკრებს ლეიდა კამალოვა, ჯაბარ კამალოვი, გულსანა ეიუბოვა, მახადინ ეიუბოვი და ლერი ტონია

უვლიან. „ფუტურის 20 ოჯახი გვყავს. 20-დან 15-ი ასოციაცია „ტოლერანტმა“ შეგვიძინა, 5 ოჯახი მენარმე ქალთა ფონდმა. თავზე დავტრიალებთ მათ, კარგი შემოსავლისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების იმედით. ფონდმა გამბედაობა შეგვიძინა. ადგილობრივ მოსახლეობასთანაც ხშირად ვურთიერთობთ“.

მახადინ ეიუბოვს ფუტურებთან ურთიერთობის ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს: „მწერები ზამთრის საკვებით მოვამარაგეთ, ოჯახების გასაძლიერებლად. მაისში თავფლსაც ბლომად ამოვიღებთ“.



იანეთელი მეფუტურეები მაღაზიის გახსნასაც გეგმავენ, სადაც ნატური თაფლის, სანთლის, ფიჭისა და მინის თხილის რეალიზაცია მოხდება.

მუზაფარ იზნომ სასათბურე მეურნეობის გასამართად რამდენჯერმე სესხის აღებაც დააპირა. თუმცა ვერ გარისკა. ბიზნესში მხარდაჭერა მენარმე ქალთა ფონდმა და ასოციაცია „ტოლერანტმა“ გაუწიეს: „ტრენინგების შემდეგ გადავწყვიტე საკუთარი საქმე დამენყო და „მესათბურეობაზე“ დავწერე პროექტი. მენარმე ქალთა ფონდში თეორიული საკითხების გაცნობის შემდეგ კონსულტაციები გავიარე „სოციალურ მენარმეობაში“ და ასოციაცია „ტოლერანტისა“ და მენარმე ქალთა ფონდის საგრანტო კონკურსში მივიღე მონაწილეობა“.

პროექტმა გაიმარჯვა. მიღებული გრანტით სათბური ააწყო, რომლის სიგრძე 42 და სიგანე 10 მეტრია. თებერვალში ცერეცოსა და სხვადასხვა სახის მწვანე მარცვანას აპირებს, შემდგომ კი მათი ბოსტნეული კულტურით ჩანაცვლებას. თანაავტორებთან ერთად ნერგების გამოყვანასაც ფიქრობს. ამბობს, რომ შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ბევრ რამეს გამოცდილი მესათბურეებისაგან სწავლობს.

მრგვალი მაგიდა გენდერულ საკითხებზე

„გენდერული თანასწორობის და ქსელის პოლიტიკურად გაძლიერების“ თემა განიხილებოდა 28 ნოემბერს ქუთაისში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და გენდერული თანასწორობის ქსელის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე.

დისკუსიაში, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატით წარიმართა, პოლიტიკოსები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ლონისძიებას ესწრებოდა „გენდერული ქსელის“ ნეერი მენარმე ქალთა ფონდი, რომელსაც ქალთა პრობლემებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

ფონდის ხელმძღვანელის მერი გელაშვილის თქმით, შეხვედრაზე მყოფ არასამთავრობო ორგანიზაციებს სხვადასხვა საკითხებთან ერთად აინტერესებდათ პარლამენტარების მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება აისახოს საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობა: „დისკუსიის დროს არაერთგზის გაესვა ხაზი პოლიტიკაში ქალის მონაწილეობის და მისი შესაძლებლობებისა და როლის გაძლიერების აუცილებლობას“.



შეხვედრა, რომელიც გენდერული თანასწორობის ქსელის (საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე მანანა მეტუკე) და გენდერულ თემებზე მომუშავე ორგანიზაციების ერთგვარ პრეზენტაციასაც წარმოადგენდა, აღნიშნულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ამ კუთხით ქალების გააქტიურებას და ჩართულობას ისახავდა მიზნად.

ცნობისათვის: მენარმე ქალთა ფონდი არის „საერთაშორისო ქალთა ორგანიზაცია AWID“-ის, ქალთა გაერთიანება „ვემუშაობთ ერთად კავკასიაში“, CRINGO-სამხრეთ კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის“, ორგანიზაციების „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის“, „მშვიდობის ქარავანის“, „საერთაშორისო ორგანიზაციის „ოჯახური ძალადო-

ბის შემცირება“, WECF (ქალთა საერთო მომავალი ევროპაში), საერთაშორისო ორგანიზაცია „Peace One Day“-ს, „პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის“ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის“, ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის“ წევრი.

მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობით უცხოელი კოლეგები დაინტერესდნენ

მენარმე ქალთა ფონდმა 7 ნოემბერს SALTO აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რესურსცენტრის ინიციატივით გამართულ არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ქუთაისში ევროკავშირის პროგრამის „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ (Youth in Action) ფარგლებში ჩატარდა. საზოგადოების ხილვადობისა და ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით მოწყობილ შეკრებაზე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნიდან „გაცნობითი ვიზიტით“ ჩამოსულ 31 კოლეგას მასპინძლობდნენ. შეხვედრის მონაწილეთა ურთიერთინტერესი მომავალში შესაძლო პარტნიორობისა და კავშირების დამყარების პერსპექტივით იყო განპირობებული.



ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე, ორგანიზაციებს პრეზენტაციის საშუალება მიეცათ მათსავე მიერ მოწყობილ სტენდებთან. მენარმე ქალთა ფონდმა საქმიანობის ამსახველი ვიზუალური მასალა წარადგინა ბანერების, ბეჭდური პროდუქციის — მეთოდური სახელმძღვანელოს „მცირე ბიზნესის საფუძვლები“ და ჟურნალების „ქალი და ბიზნესი“, „ჩვენ — ლიდერები“ სახით. პრეზენტაციის შემდეგ ფონდის საქმიანობით დაინტერესებული ორგანიზაციების ყურადღება ქალთა განათლების ამაღლებისა და გოგონათა პროფორმირების კურსების არსებობამ მიიქცია.

მსგავსი მიმართულებებით მომუშავე რამდენიმე ორგანიზაციამ შესაძლო პარტნიორობაზე აზრი გამოთქვა. „ეს დაინტერესება, ვფიქრობთ, სხვა ქვეყნებში ჩვენი ორგანიზაციების საერთო ინტერესების გაზრდის საინდარი იქნება“, – ივარაუდა „Youth District AB“ („ახალგაზრდული რაიონის“) შვედმა წარმომადგენელმა ამი სტალსტიერნამ. მენარმე ქალთა ფონდისადმი უცხოელების მხრიდან ისმებოდა კითხვები, თუ რატომ არის ორგანიზაცია მხოლოდ მდებდრობითი სქესის განათლებაზე ორიენტირებული.

თუმცა, ზოგი თავადვე ასკვნიდა, რომ ქალთა ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს ქალებისადმი მიმართული ძალადობის პრევენციას. „SALTO EECA“-ს ეგიდით მოწყობილ შეკრებაზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა. აღინიშნა ისიც, რომ საქართველოში არსებული პრობლემები არანაკლებ აქტუალურია უცხოურ ქვეყნებში. თუმცა, ერთობლივი ძალებითა და აზრთა გაცვლა-გამოცვლით შესაძლებელია მათი პრევენცია, საბოლოოდ კი შემცირება.

ფონდის ჟურნალში სტუდენტები ითანამშრომლებენ

მენარმე ქალთა ფონდმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

დოკუმენტს ხელი 2012 წლის 5 დეკემბერს მოეწერა. „უნივერსიტეტთან ჩვენი თანამშრომლობა განპირობებულია იმით, რომ, რადგან ახალგაზრდებთანაც ვმუშაობთ, სურვილი გვაქვს, უნივერსიტეტის სტუდენტებმა უკეთ გაიგონ, თუ რა არის და რით არის დაკავებული არასამთარობო ორგანიზაციები და გაეცნონ ჩვენს საქმიანობას. ჩვენ ხომ ის სექტორი ვართ, რომელიც საზოგადოებრივ აზრს ქმნის. საჭიროა ახალგაზრდებიც აქტიურად ჩაებან ამ პროცესში“, – განმარტა ფონდის ხელმძღვანელმა მერი გელაშვილმა.

ფონდის თავმჯდომარისა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ დადებული შეთანხმების თანახმად, მენარმე ქალთა ფონდი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების სტაჟირებას უზრუნველყოფს ორგანიზაციის ბეჭდურ გამოცემაში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ლავთაძის თქმით, ქალთა ფონდთან ხელშეკრულების გაფორმება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უნივერსიტეტი ღია არის ასეთი ტიპის ურთიერთობებისათვის: „დღეს ხელმოწერილი მემორანდუმი და ეს ორგანიზაცია იმიტომ არის საინტერესო ჩვენთვის, რომ მათი საქმიანობის არეალი საკმაოდ ვრცელია. აქვთ



საკუთარი გამოცემა და კარგი გამოცდილება მენარმეობის სწავლების კუთხით”.

მენარმე ქალთა ფონდი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სპეციალური პროგრამების განხორციელებას

გეგმავს. სათანამშრომლოდ შერჩეული ახალგაზრდები ორგანიზაციის ჟურნალში „ჩვენ – ლიდერები“ პრაქტიკული საქმიანობით პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებას შეძლებენ.



„16 აქტიური დღე – მიმართული“

ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მსოფლიო საზოგადოება საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიაში ერთვება, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეწყო. მენარმე ქალთა ფონდი სხვადასხვა ღონისძიებებით და აქტივობებით შუერთდა საერთაშორისო ინიციატივას, რომელიც იმ დღიდან აღინიშნება, როდესაც სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი დები მირაბელები მოკლეს ღომინიკეში.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია 1991 წლიდან ეწყო. მონაწილეებმა თარიღად 25 ნოემბერი — საერთაშორისო დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და 10 დეკემბერი — ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე – შეარჩიეს. ქალთა მიმართ ძალადობა სიმბოლურად დააკავშირეს ადამიანის უფლებებთან და ამით ხაზი გაესვა, რომ ამგვარი ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევას

წარმოადგენს.

2012 წლის 16 დღიანი კამპანიის დაწყებას მიეძღვნა 25 ნოემბერს აფხაზეთის საზღვართან გამართული ღონისძიება. ენგურს გაღმა მდებარე სოფელ ხურჩაში „ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალს“ უმასპინძლეს. საქართველოს იმ რეგიონში, რომელიც სიმბოლურად ძალადობის, ანუ კონფლიქტის ზონად მიიჩნევა.

ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალის სიმბოლური დატვირთვა

აფხაზეთის საზღვართან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების და სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა, მათ შორის ოსებმა და აფხაზებმა, ტრადიციული კერძები დააგემოვნებინეს იქ შეკრებილ მრავალრიცხოვან საზოგადოებას. ღონისძიების მონაწილეები კმაყოფილებას გამოხატავდნენ ფესტივალზე მინვევისა და თავიანთი ეროვნული კულინარიული ნიმუშების ჩვენების შესაძლებლობის და მშვიდობიანი ურთიერთობის გამო.

ხურჩაში მოწყობილ „ნაციონალური სამზარეულოს გამოფენაზე“ მენარმე ქალთა ფონდი სოფ. იანეთში მცხოვრები მესხი ბენეფიციარების მიერ დამზადებული ეროვნული კერძებით წარსდგა. ფონდის მიერ მოწყობილ კულინარიულ და საინფორმაციო კუთხეს წარწერით „მესხური სამზარეულო: სამტრედია – იანეთი“ უწყვეტი ხალხმრავლობა გამოარჩევდა. ჟურნალისტები ინტერვიუებს ინერდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იანეთელ მესხებსა და ქალთა ფონდის შესახებ ვრცელი ინფორმაციით ინტერესდებოდნენ, დამთვალეიერებლები კულინარიული ნიმუშების რეცეპტებს ინიშნავდნენ.

იანეთელმა ლეიდა კამალოვამ, რომელმაც ლეილა ხოზრევანიძესა და მია იბრაგიმოვასთან ერთად ფესტივალზე მესხური კერძები წარადგინა, აღნიშნა, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა მისთვის მნიშვნელოვანი იყო: „მომეცა შანსი, მეჩვენებინა ჩემი კუთხის სამზარეულო. იმ საზოგადოების და ქვეყნის სრულფასოვან ნაწილად ვიგრძენი თავი, სადაც ფესტივალი ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ ინიციატივით გაიმართა“. ასოციაციის თავმჯდომარე ალუ გამახარიას



განმატებით, ამ ღონისძიების საზღვრისპირა სოფელში მოწყობას სიმბოლური დატვირთვა აქვს. მსგავსი ხასიათის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მშვიდობიან მოგვარებას.

მენარმე ქალთა ფონდი საერთაშორისო კამპანიის აქტიური მონაწილეა და სხვადასხვა ფორმით ერთვება ამ აქციაში. ძალადობის საკითხებში ქალთა სოლიდარობის დემონსტრირების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით 2012 წელსაც არაერთი ღონისძიება ჩაატარა საზოგადოების სხვადასხვა ფეხებთან: სტუდენტებთან, პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებთან, ქალთა სკოლის მსმენელებთან ქუთაისსა და ფოთში. ასევე, მოაწყო საინფორმაციო შეხვედრები, დებატები, „მრგვალი მაგიდა“, სატელევიზიო და რადიო დისკუსიები.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

აპაკი წარეთლის სახელმწიფო უნივერსიტატი

30 ნოემბერს ორგანიზაციამ დისკუსია ძალადობის ფორმებზე, გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციის გზებზე ჟურნალისტიკისა და სამართალმცოდნეობის სპეციალობის 30-მდე სტუდენტთან მოაწყო. ისინი 16 აქტიური დღის თანამონაწილენი გახდნენ და კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს, რომ ნებისმიერს აქვს უფლება იცხოვროს ძალადობის გარეშე.



პროფესიული სასწავლებელი „ვაზისი“

3 დეკემბერს ფონდის აქციას ფოთშიც შეურთდნენ. პროფსასწავლებლის მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას 16 დღიანი კამპანიის შესახებ. აქციისადმი სოლიდარობა მოსწავლეებთან ერთად პედაგოგებმაც გამოხატეს. შეკრებილებმა არაერთ საკითხზე ისაუბრეს: აგრესია, ძალადობის მასშტაბები, კანონი ძალადობის წინააღმდეგ, სოციალური პასუხისმგებლობა. ძალადობას არა მხოლოდ კამპანიის დროს, არამედ ყოველდღიურად და ყველგან უნდა დაეუპირისპირდე, - ასეთი იყო მონაწილეთა აზრი.



ფოთის „საშუალო ასაკის ქალთა სკოლა“



ფოთის საკრებულოში ფონდის მიერ ორგანიზებულ „საშუალო ასაკის ქალთა სკოლის“ მსმენელებმა ყურადღება ძირითადად ოჯახურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე გაამახვილეს. ითქვა, რომ რაც შეიძლება ვრცელი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ადამიანებს ამ საკითხზე, რადგან მსხვერპლის როლში არ აღმოჩნდნენ. „სახელმწიფომ ყოველთვის უნდა იზრუნოს, რომ მოძალადეები ნაკლებად გვეყავდეს საზოგადოებაში და ძალადობის მსხვერპლიც მაქსიმალურად დაცული იყოს“- აღნიშნა საკრებულის წევრმა და სკოლის მსმენელმა დარეჯან ცქვიტარიამ.

საზოგადოებრივი კოლეჯი „იპარია“



6 დეკემბერი. მენარმე ქალთა ფონდმა ძალადობის პრობლემაზე ქუთაისის პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებთან იმსჯელა. როგორც ფონდის, ასევე კოლეჯის წარმომადგენლებმა განიხილეს ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული ასპექტები.

ძალადობა სხვადასხვა ფორმით და ყველა სფეროში არსებობს, უნდა დავსახოთ გზები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, - ასეთი იყო ყველა შეხვედრის მონაწილეთა საერთო განწყობა.

„16 აქტიური დღე – მიმართული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“

დამოუკიდებლობა და ინფორმირებულობა ძალადობის წინააღმდეგ

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, მენარმე ქალთა ფონდმა 16 დღიანი საერთაშორისო კამპანია ძალადობის წინააღმდეგ მრგვალი მაგიდის მოწყობით დაასრულა.

სლოგანით „არა ძალადობას“, „ძალადობა – ბოროტება“, „მსხვერპლს იცავს კანონი“, „ცოდნით ვძლიოთ ძალადობას“ გამოხატული პოზიციით, ფონდმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას გლობალური პრობლემის შესახებ.



იურისტები, ფსიქოლოგები, ლექტორ-მასწავლებლები, პროფესიული კოლეჯის მოსწავლეები, ადგილობრივი და აფხაზეთის მთავრობების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ორსაათიანი შეხვედრის საშუალებით დასწრის მასშტაბებსა და მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე.

დისკუსიის დასრულებამდე მონაწილეებს წლებანდელი კამპანიის მიზნებსა და ამოცანებზე მიენოდათ ინფორმაცია:

მერი გელაშვილი (მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე): არაერთი წელი მიმდინარე კამპანიის შედეგია, რომ დღეს შედარებით თამამად საუბრობენ ადამიანები ძალადობასა და მასთან ბრძოლის საშუალებებზე. ცოდნით, ინფორმირებულობით, განათლების მიღებითა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდება ამ პრობლემის დაძლევა“.

პასუხად კითხვებზე, თუ როგორ ხდება ძალადობის ფაქტებზე რეაგირება ხელისუფლების მხრიდან, ვის უნდა მიმართოს მსხვერპლმა და დაცვის რა საშუალებები გააჩნიათ მათ, **თამარ ფაჩულიამ** (საია-ს ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე) განმარტა, რომ ჩვენ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას და ძალადობის პრევენციას ითვალისწინებს კანონი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. თუმცა ეს კანონი სრულყოფილად ვერ მუშაობს ფინანსურ ნაწილში შესრულების მექანიზმის გაუმართაობის გამო“.

ნოდარ ჯიქია (საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი): „პრობლემა რომ მოგვარდეს, თავდაპირველად კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური აქტივობები უნდა შესრულდეს. თავის

დროზე კანონში ცვლილებების მხოლოდ ის ნაწილი იქნა მხარდაჭერილი, რომელიც ფინანსურ უზრუნველყოფას არ საჭიროებდა. დაუფინანსებელი დარჩა საკითხები, რომლებიც თანხებს მოითხოვდა. ამ კუთხით არც 2013 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები“.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ შედეგებსა და ემოციურ სტრესებზე, რაც შეიძლება მსხვერპლს დაემართოს, განსაკუთრებით ბავშვებს:

გონა გიორგიძე (ფსიქოლოგი, NCDC იმერეთის განყოფილების უფროსი): „ბავშვებს არ უნდა ჰქონდეთ ძალადობასთან შეხება როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. მეტი ყურადღება და პატივისცემა ესაჭიროებათ პატარებს მშობლებისა და პედაგოგებისაგან, რათა მათში მოძალადემ „არ გაიღვიძოს“ .

ფატი დვალისვილი („ქალთა სკოლის“ კურსდამთავრებული): „ძალადობას არასწორი აღზრდა, ძალადობრივი გარემო იწვევს. ძალადობა არის ყველგან – შინ, ქუჩაში, სკოლაში. მე, როგორც პედაგოგს, მიმაჩნია, რომ მის აღმოსაფხვრელად მონდომება და დიდი მუშაობაა საჭირო. ძალადობა საკუთარ თავზეც გამოვცადე და მასზე გამარჯვება ჩემი ძლიერი ხასიათის დამსახურებაა. ოჯახის დანგრევით ყველაფერი არ მთავრდება. ყველა ქალს ვურჩევ, გაეცნონ კანონს ძალადობის შესახებ“.

ძალადობა სხვადასხვა ფორმით გვხვდება, ყველა სფეროში. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ყოველი მე-4 ქალი ძალადობის მსხვერპლია. ზოგიერთი ფაქტორის, თუნდაც საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციებისა თუ სტერეოტიპების გამო, ისინი



ხშირად ვერ მოქმედებენ საკუთარი ნება-სურვილის და არჩევანის შესაბამისად.

ინურ კამალოვა (სოფ. იანეთში მცხოვრები მესხი): „იანეთის დასახლებაში პირველი მესხი გოგონა ვარ, რომელმაც განათლების მიღება გადაწყვიტე. ასეთ შეხვედრაზეც პირველად ვარ. მენარმე ქალთა ფონდის დამსახურებით ვსწავლობ – პროფესიულ სასწავლებელში კერვის ტექნოლოგიას ვითვისებ. დედა ფონდის ბენეფიციარია და საოჯახო ბიზნესიც ორგანიზაციის მატერიალური მხარდაჭერით წამოიწყო“.

საზოგადოებაში განსაკუთრებით ტაბუდადებულია ოჯახში ძალადობის თემა. დიდი ხნის განმავლობაში ძალადობა ოჯახში მიიჩნეოდა როგორც კერძო, შინაური საქმე. სახელმწიფო და საზოგადოება არ იღებდა ვალდებულებას ამგვარი ძალადობა სოციალურ პრობლემად ელიარებინა.

ქრისტინე მეძველია („ქალთა სკოლის“ კურსდამთავრებული): „ძალადობის მსხვერპლს სხვადასხვა მიზეზების გამო არ უნდა განციდის შესახებ ხმამაღლა საუბარი. საზოგადოება ხშირ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ ასეთი პრობლემა იქვე უნდა გადაწყდეს, სადაც ხდება. მსხვერპლი ძალადობის პირისპირ მარტო რჩება და გამოდის დაუსრულებლად უნდა ითმინოს“.

ძალადობა კომპლექსური პრობლემაა და არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველა სიტუაციას მოერგება. შეხვედრაზე ითქვა, რომ ქალთა უსაფრ-

თხობის უზრუნველყოფა, ძალადობის აღკვეთა, მისგან თავისდაღწევა სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაძლიერებით, განათლების ხელშეწყობით, დასაქმებით უნდა მოხდეს.

ზაზა ჩაჩავა (იმერეთში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი): „საზოგადოება უფრო გააქტიურებული და ინფორმირებულია წინა წლებთან შედრებით. დღეს უკვე თამამად საუბრობენ ქალთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების შესახებ. მენარმე ქალთა ფონდი ის ორგანიზაციაა, რომელიც განათლების უზრუნველყოფით და დასაქმების მხარდაჭერით სოციალურად დაუცველი და დევნილი ქალბატონებისა თუ გოგონების დამოუკიდებლობას უწყობს ხელს. დამოუკიდებელი და ინფორმირებული ადამიანი კი ძნელად ხდება ძალადობის მსხვერპლი“.

დისკუსია, როგორც ექსპერტმა, **ალუ გამახარია** (ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“) შეაჯამა, და მონაწილეებს პრობლემაზე მსჯელობის პროცესში ჩამოყალიბებული სამოქმედო რეკომენდაციები შეასხენა. მან აღნიშნა, რომ ძალადობა – გლობალური პრობლემაა და სისტემურ მიდგომას საჭიროებს: „ცემითა და ძალმომრეობით ძალადობას ვერ გავუმკლავდებით. თუმცა ყოველმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, თუ სად იწყება და მთავრდება „მუშტის ქნევის თავისუფლება“.

„ომი და მშვიდობა“ გამოფენის ობიექტივში

მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მენარმე ქალთა ფონდმა გამოფენა-კონფერენცია მოაწყო. თარიღი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს დაწესდა და ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიო საზოგადოების მიერ.

„მდგრადი მშვიდობა – მდგრადი მომავალი“ – ამ სახელწოდების ღონისძიებაზე ორგანიზაციამ ომისა და მშვიდობის ამსახველი ფოტოკადრები და ცნობილი ადამიანების იგივე თემატიკის გამონათქვამები წარმოადგინა.

გამოფენა ფონდის ხელმძღვანელმა მერი გელაშვილმა გახსნა. მან მშვიდობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და ისაუბრა ორგანიზაციის ჩართულობაზე სამშვიდობო პროცესების დარეგულირებაში: „გადაწყვიტეთ სწორედ ამ ფოტომასალის ჩვენებით შევხმინებოდით ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორც ომი და მშვიდობაა. ჩვენი ორგანიზაცია საერთაშორისო ქსელის „Peace One Day“-ს წევრია და მსოფლიო საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია“.

გამოფენაზე მყოფი ფონდის თანამშრომლები, ბენეფიციარები, პარტნიორი ორგანიზაციისა და ადგი-





ლობრივი მედიის წარმომადგენლები ერთხმად გამო-
თქვამდნენ თავიანთ გამოსვლებში, რომ საზოგადოე-
ბამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ აღარ
დაუშვას სისხლისმღვრელი ომები და კონფლიქტები
ქვეყანასა და მსოფლიოში. კულტურულ-ჰუმანიტარულ
ფონდ „სოხუმის“ თავმჯდომარემ ალა გამახარიათ ერთ-
გვარი მიმართვა გააკეთა საზოგადოებისადმი და აქ-
ცენტრი მშვიდობის მნიშვნელობასა და მის შესანარჩუნე-
ბლად განსახორციელებელ ნაბიჯებზე გაამახვილა.

გაეროს მიერ 20 წლის წინ დაარსებული მშვიდობის
დღე ყოველწლიურად 21 სექტემბერს აღინიშნება.

ჩ ვ ე ნ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი

უფლებების ცოდნა საკუთარი კეთილდღეობისთვის

„მყავს ძმა და მინტერესებს, მეკუთვნის თუ არა რაიმე წილი მშობლების ქონებიდან?“, „მეუღლების
დროს რამდენად აუცილებელია მეუღლეებს შორის ქორწინების დარეგისტრირება, თუ საკმარისია
რელიგიური წესით ჯვრის დანერა?“, „რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადრეულ ასაკში ქორწინებას?“ – ამ
კითხვებზე პასუხებით ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ მოსწავლეები დაინტერესდნენ მენარმე
ქალთა ფონდის მიერ მოწყობილ საინფორმაციო შეხვერა-პრეზენტაციაზე „დაიცავით ქალთა საკუთრების
უფლებები“.

შეხვედრა ფონდმა რეგიონული პროგრამის „ქალთა
შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში
მშვიდობის მშენებლობისთვის“ ფარგლებში ჩაატარა.
ლონისძიება პარტნიორი ორგანიზაციის – იძულებით
გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“
ინიციატივით მოეწყო.

„ადვოკატირების კამპანიაზე“ შემეცნებითი ფილმის
პრეზენტაციის შემდეგ მოზარდებმა ქორწინებისა და
მემკვიდრეობის საკითხებზე იმსჯელეს და თემატური
კითხვარები შეავსეს. გამოკითხვის შედეგად გაირკვა,
რომ აუდიტორიის უმრავლესობამ არ იცოდა, თუ რა
მემკვიდრეობითი უფლებებით სარგებლობენ ისინი.
ინდირა ყუფარაძემ გაიკვირვა, როდესაც განუმარტეს,
რომ ოჯახში ქალიშვილსაც აქვს მემკვიდრეობითი
უფლება მშობლების ქონებაზე. დისკუსიის დროს
მოსწავლეები აქტიურად ინტერესდებოდნენ კონ-
კრეტული იურიდიული საკითხებითა და პრო-
ცედურებით.

„გასულ წელს მეგობარს დაოჯახებაში შევუწყვე
ხელი. გოგონა არასრულწლოვანი იყო, მშობლები კი
ქორწინებას ეწინააღმდეგებოდნენ. ახლა გავიგე, თუ რა
პასუხისმგებლობას გადავრჩი მაშინ. ეს ინფორმაცია
ადრე რომ მცოდნოდა, ასეთ სისულელეს ნამდვილად
არ ჩავიდენდი“, - აღიარა დავით ძიძიგურმა.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს ინფორ-
მაცია მიენოდათ იმის შესახებ, თუ სად შეუძლიათ
უფასო იურიდიული კონსულტაციების მიღება
და დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები:

„მემკვიდრეობა – ეს ჩვენი უფლებაა, გამოვიყენოთ
იგი საკუთარი კეთილდღეობისათვის“, „ქორწინება
და თანასაკუთრების რეგისტრაცია თქვენი ოჯახის
კეთილდღეობისა და მომავლის დაცვაა“.

მენარმე ქალთა ფონდის მიერ 20 დეკემბერს
პროფსასწავლებელში ჩატარებულმა საინფორმაციო
შეხვედრამ უჩვენა, რომ ახალგაზრდების არა-
ინფორმირებულობა და ინტერესი საკითხისადმი
საჭიროებს ისეთი პროექტების შედგენა-განხორ-
ციელებას, რომელთა ფარგლებში ისინი კვალიფიციურ
ინფორმაციას მიიღებენ საოჯახო სამათალის
საკითხებსა და მემკვიდრეობითი სამართლით
გათვალისწინებულ ქალთა უფლებებზე.



ტრენინგი ორგანიზაციული განვითარების საკითხებზე

ოქტომბრის ბოლოს მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდათ. სწავლება, რომელიც ორგანიზაციის განვითარების საკითხების განხილვას დაეთმო, ფონდის ხელმძღვანელის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო.

ფონდის თავმჯდომარემ მერი გელაშვილმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ორგანიზაციამ არაერთხელ მიავლინა საკუთარი თანამშრომლები სხვადასხვა ფორმატისა თუ თემატიკის ტრენინგებზე: „ამჟამად თავად ფონდმა შეკრიბა ისინი ბორჯომში, გუნდის შეკვრისა და გუნდური სულისკვეთების გაძლიერების მიზნით“.

ტრენინგ-კურსის დაწყებამდე მონაწილეებმა ერთგვარი „მოქმედების რეგლამენტი“ ჩამოაყალიბეს, რომელიც ურთიერთმომსენას, აქტიურობას, კონსტრუქციულ ჩართულობას, მოსაზრებების არგუმენტაციას და კრეატიულად წარმოჩენას, საუკეთესო მონაწილის ნომინირებას ითვალისწინებდა.

პირველ დღეს პიროვნების ლიდერული თვისებები, მათი გამომუშავების შესაძლებლობები, ლიდერ ქალსა და ლიდერ მამაკაცს შორის არსებული სხვაობა თუ საერთო მახასიათებლები განიხილებოდა.

მეორე დღეს ყურადღება ორგანიზაციის ჩამოყალიბების, სტრუქტურული განვითარების ეტაპებსა, მისი ქმედითუნარიანობის განმსაზღვრელ მიმართულებებსა და სხვადასხვა სახის მენეჯმენტის საკითხებზე გამახვილდა.

ტრენინგის დასკვნითი ნაწილი რელაქსაციურ ხასიათს ატარებდა — მესამე დღე ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის თემას დაეთმო. მსჯელობა აუტოტრენინგის სარგებლიანობასა და საკუთარი თავის მართვის ფორმებზე გაიმართა.

ტრენინგ-მეცადინეობა ინტერაქტიური ფორმატით მიმდინარეობდა. ტრენერ-ექსპერტების ალა და ალუ გამახარების და ციკინო გრძელიშვილის მიერ კონკრეტული თემების თეორიულ მიმოხილვას მონაწილეთა ინდივიდუალურ-ჯგუფური მუშაობა ანაცვლებდა. პრეზენტაციებს კითხვა-პასუხები ავსებდა.

ნელი კენჯია (მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომელი): „სასარგებლო ტრენინგი იყო. საინტერესო თემებს შევეხეთ, რაც მთავარია, რეალურ მაგალითებზე მუშაობა გვიხდებოდა“.

ფონდის ხელმძღვანელი არ გამოირიცხავს, რომ თანამშრომელთა გუნდურ-კომუნიკაციური უნარების გადრმავეების მიზნით, ტრენინგები მომავალშიც მოეწყოს.



ხიდევ ერთხელ სოციალური მენარმეობის შესახებ

მენარმე ქალთა ფონდმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ჩეხეთის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მხარდასაჭერად. პროექტის ფარგლებში მოწყობილი შეხვედრა სოციალური მენარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის საკითხებს დაეთმო.

2-დღიან სწავლებას „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ ატარებდა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ტრენინგში ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, მერიის ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები, ქუთაისისა და წყალტუბოს საკრებულოს წევრები მონაწილეობდნენ.

მენარმე ქალთა ფონდის ასისტენტის ანჟელა ჩიხლაძის განმარტებით, შეხვედრაზე სოციალური მენარმეობის კონცეფცია, იურიდიული ფორმები, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები,

ბიზნეს საქმიანობის უცხოური და ადგილობრივი გამოცდილება გააცნეს: „ყურადღება, სოციალური მენარმეობის ამოქმედებაში სახელმწიფოს როლზე, ხელშეწყობის საშუალებებსა და მექანიზმებზე გამახვილდა“.

ტრენინგი მონაწილეთა აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა, შეფასდა სოციალური სანარმოს იდეების მიზანშეწონილობა და სოციალური გავლენის შედეგები.

იანვრის ბოლოს მასპინძელი ორგანიზაცია პროექტის ფარგლებში მორიგი სემინარის ჩატარებას გეგმავს.



კითხვა: ახლობელი კრედიტს იღებს ბანკიდან და მთხოვს ვიყო მისი თავდები, რას ნიშნავს თავდებობა და სოლიდარული უფლებამოსილება?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის თანახმად თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. ანუ თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, კრედიტორის წინაშე საჭიროების შემთხვევაში აგოს პასუხი მის მაგივრად ვისაც თავდებში უდგას. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლის თანახმად თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს - სოლიდარულ კრედიტორებს.

კითხვა: სავალდებულოა თუ არა სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტით ვაჭრობისას სალარო აპარატის გამოყენება და თუ არ ვიყენებთ, დაგვაჯარიმებენ თუ არა?

პასუხი: საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდება „ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენს პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას, -საქმიანობის ამ ნაწილში.

ამდენად, თუ ამ მუხლში აღწერილი პირობები შესრულებულია, თქვენ არ გაქვთ საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება და, შესაბამისად, ვერც მისი გამოყენებლობისთვის დაჯარიმდებით.

კითხვა: მეუღლეებს აქვთ, როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების უფლება. არცთუ იშვიათად ეს უსიამოვნების მიზეზიც ხდება ხოლმე. მაინტერესებს განქორწინების დროს ქონების გადანაწილება როგორ მოხდება, რა ქონება შეადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატრიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. განქორწინების შემთხვევაში კი იგი მათ შორის თანაბრად ნაწილდება.

ქათი ფილიპაშვილი

